

№5 2017



6060 ჯავახიშვილი
NINO JAVAKHISHVILI
Н.А.ДЖАВАХИШВИЛИ
1913-2012

ექსპერიმენტული და
კლინიკური

მედიცინა

Experimental & Clinical
MEDICINE

Экспериментальная и клиническая
МЕДИЦИНА

Abstracts of articles are published in "Georgian ref. Journal" (www.tech.caucasus.net)

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-0392

N.JAVAKHISHVILI JOURNAL

**EXPERIMENTAL & CLINICAL
MEDICINE**

№5

**BY THE DISSERTATION COUNCILS OF THE MEDICINE, STOMATOLOGY, PUBLIC HEALTH
AND PHARMACY FACULTIES AT TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY, JOURNAL IS
INCLUDED IN A LIST OF SCIENTIFIC EDITIONS RECOMMENDED FOR PUBLISHING OF
THE DISSERTATION FRAGMENTS**

**Abstracts of articles are published in "Georgian Ref. Journal"
(www.tech.caucasus.net)**

TBILISI 2017

**მ.მახარაძე, რ.სულუხია, მ.წიკლაური, ლ.ალადაშვილი,
ი.თაბორიძე**

თვითნებითი აბორტის მიკრობული მახასიათებლები

დაღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი, ო.ღუდუშაურის სახ. სამედიცინო ცენტრი, უნივერსიტეტი
გეომედი, გრ.რობაკიძის სახ. უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

M.MAKHARADZE, R.SULUKHIA, M.TSIKLAURI, L.ALADASHVILI, I.TABORIDZE

MICROBIOLOGICAL CHARACTERISTICS OF SPONTANEOUS ABORTION

University of David Aghmashenebeli, Medical Center of O.Gudushauri, University Geomeidy, University
of Gr. Robakidze, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Our research is aimed on studying the microbial properties of spontaneous abortion. Morphological diagnosis: 15 (50%) patients had cervicocytes and 2 (6.7%) of endometrial polyps. The study of microbial analysis has been studied in 30 patients aged 24 to 36 which had arbitrary abortions.

According to our data level of the highest miscarriage was infection of chlamydia(23%), mycoplasmosis (20%) and ureaplasma (20%), therefore it shows the role in etiopathogenesis of miscarriage.

For prevention of spontaneous abortion is recommended screening and treatment of sexual infections.

სპონტანური აბორტები დღემდე წარმოადგენს გინეკოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემას. თანამედროვე მონაცემებით 13 კვირამდე თვითნებური აბორტების 15% და გვიანი აბორტის 60% დაკავშირებულია ინფექციებთან [2]. შესაძლო მექანიზმები მოიცავს - ტოქსიკური და მეტაბოლური პროდუქტების წარმოქმნას, ფეტალურ ან პლაცენტარულ ინფიცირებას, ქრონიკულ ენდომეტრიულ ინფექციებს და ქორიოამნიოტიტს. ასევე ხშირად პათოგენებს წარმოადგენენ ვირუსები, რამდენადაც ზოგიერთ მათგანს შეუძლია ქრონიკული ან მორეციდივე ინფექციების გამოწვევა [7]. სხვა ავტორებმა აღნიშნავენ Chlamydia trachomatis-ითა და ureaplasma/mycoplasma-ით ინფიცირების როლს სპონტანური აბორტის შემთხვევებში [2,4].

ჩვენი კვლევის მიზანია თვითნებითი აბორტების დროს საშოს მიკრობული მახასიათებლების შესწავლა.

მასალა და მეთოდები. ჩვენს მიერ შესწავლილი იყო პაციენტების ჯგუფი, სადაც შევიდა 24-36 წლის 30 ქალბატონი, რომელთაც უახლეს ანამნეზში ჰქონდათ თვითნებითი აბორტი. ამ პაციენტებში შესწავლილი იყო საშოს მიკრობული ანალიზი.

შეგისწავლეთ საშოს ნაცხის მიკრობული მახასიათებლები ქლამიდიას დიაგნოსტიკას გახდენდით სწრაფი ტესტით [9]. ურეაპლაზმა ურეალიტიკუმის - Ureaplasma Urealiticum (UU) და მიკოპლაზმა ჰომინის Mycoplasma Hominis (MH) იზოლაციის, იდენტიფიკაციის, ენუმერაციისათვის ვიყენებდით AUTOBIO DIAGNOSTICS CO., LTD-ს ტესტ ნაკრებს [5]. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტის საშუალებით, სტატისტიკური პაკეტის - SPSS 22-ის გამოყენებით.

შედეგები და განხილვა. გამოკვლეულ პირთა საშუალო ასაკი შეადგენდა 29.28 ± 3.555 წელს, თვითნებითი აბორტის დადგომისას ორსულობის საშუალო ვადა 13.90 ± 6.976 კვირას - მინიმალური 4 კვირა, მაქსიმალური - 21.


მორფოლოგიური დიაგნოზი: 15 (50%) პაციენტს აღენიშნებოდა ცერვიციტი, 2(6.7%)-ს ენდომეტრიუმის პოლიპი. საშოს ნაცხის მორფოლოგიური კვლევის შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1. საშოს ნაცხის მორფოლოგიური მახასიათებლები
სპონტანური აბორტის შემდეგ

მაჩვენებლები	Abs.	Mean	Std.	p
ლეიკოციტები 7-9000	3	0.10	0.305	0.000
ლეიკოციტები 10-15000	2	0.07	0.254	0.000
ლეიკოციტები >15000	9	0.30	0.466	0.000
ეპითელი დიდი რაოდენობით	11	0.37	0.490	0.000
ლორწო - დიდი რაოდენობით	8	0.27	0.450	0.000
ლორწო - საშუალო რაოდენობით	3	0.10	0.305	0.000
ლორწო - მცირე რაოდენობით	3	0.10	0.305	0.000

ბაქტერიოსკოპულმა კვლევამ აჩვენა, რომ პაციენტთა თითქმის ნახევარს აღინიშნებოდა ლეიკოციტოზი, მათგან 30%-ს 15000-ზე მეტი, აგრეთვე ეპითელისა და ლორწოს დიდი რაოდენობა. ბაქტერიოსკოპული მონაცემები თვითნებითი აბორტის მქონე პაციენტებში მოცემულია 1-ლ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1. ბაქტერიოსკოპული მონაცემები სპონტანური აბორტის მქონე პაციენტებში



მიკრობებს შორის პრევალირებდა დიდი რაოდენობით გრამდადებითი ფლორა, არ დაფიქსირდა ტრიქომონა, გარდნერელა, ლეპტოტრიქსი, დოღერლეინის ჩხირები. ქლამიდიოზი სწრაფი ტესტის მონაცემები მოცემულია მე-2 დიაგრამაზე: პაციენტებს შორის ყველაზე მაღალია ქლამიდიის სიხშირე, თანაბრად აღინიშნებოდა მიკოპლაზმა და ურეაპლაზმა.

Mycoplasma genitalium დაკავშირებულია ცერვიციტთან და მცირე მენჯის ანთებით დაავადებებთან, თუმცა მცირეა ცნობების მისი როლის შესახებ ორსულობის დროს [8]. აღინიშნავენ კაჟმის *Chlamydia trachomatis*-ით, *Mycoplasma hominis*-ით და *Ureaplasma urealyticum*-ით ინფიცირებასა და თვითნებურ აბორტს შორის [1,3], თუმცა ზოგიერთი კვლევა არ ადასტურებს *Chlamydia trachomatis*-ით, *Mycoplasma hominis*-ით და *Ureaplasma urealyticum*-ით ინფიცირებამ როლს პირველი ტრიმესტრის სპონტანური აბორტების დროს [6].

ჩვენი მონაცემებით, თვითნებური აბორტის დროს მაღალია როგორც ქლამიდიის, ისე მიკოპლაზმისა და ურეაპლაზმის სიხშირე, რაც გვიჩვენებს მათ როლს სპონტანური აბორტის ეტიოპათოგენეზში.

დასკვნა: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები შესაძლოა გახდეს სპონტანური აბორტის მიზეზი. ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქლამიდიის, მიკოპლაზმისა და ურეაპლაზმის წარმოადგენენ თვითნებითი აბორტის ერთ-ერთ ძირითად რისკ-ფაქტორს. თვითნებური აბორტის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია გენიტალური ინფექციების სკრინინგი და მკურნალობა ორსულობის დაგეგმვის პერიოდში.

ლიტერატურა

1. Ahmadi A. et al. – The relationship between Chlamydia trachomatis genital infection and spontaneous abortion// J. Reprod. Infertil., 2016, #17(2), 110-116.
2. Baud D. et al. – Role of Chlamydia trachomatis in miscarriage// Emerg. Inf. Dis., 2011, #17(9), 1630-1635.
3. Baud D., Regan L., Greub G. – Emerging role of Chlamydia and Chlamydia-like organisms in adverse pregnancy outcomes// Curr. Opin. Infect. Dis., 2008, #21, 70-76.
4. Check J. – A practical approach to the prevention of miscarriage. Part 4 – Role of infection// Clin. Exp. Obstet. Gynecol., 2010, #37(4), 252-255.
5. CLSI Methods for antimicrobial susceptibility testing for human mycoplasmas; Approved guidelines. CLSI document M43-A Wayne, PA: Clinical and Laboratory Standards Institute, 2011, v31, #19.
6. Matovina M. et al. – Possible role of bacterial and viral infections in miscarriages// Fertil. Steril., 2004, #81(3), 662-669.
7. Nigro G. et al. – Role of the infections in recurrent spontaneous abortion// J. Matern. Fetal Neonatal Med., 2011, #24, 983-989.
8. Oakeshott P. et al. – Prevalence of Mycoplasma genitalium in early pregnancy and relationship between its presence and pregnancy outcome// BJOG, 2004, #111, 1464-1467.
9. Yang Chun, Zhu Daoyin – Glicogen assay for diagnosytics of female genital Chlamydia trachomatis infection// J.Clin. Microbiol., 1998, #36(4), 1081-1082.



С.КУПРАДЗЕ, Б.КОРСАНТИЯ, И.ГВЕЛЕСИАНИ, Л.КАДЖАЯ
ИСПОЛЬЗОВАНИЕ НЕКОТОРЫХ СВОЙСТВ ПРИРОДНЫХ ЦЕОЛИТОВ ДЛЯ
ПРОИЗВОДСТВА ГРИППОЗНОЙ ВАКЦИНЫ

Институт медицинской биотехнологии им. Вл.Бахуташвили Тбилисского Государственного
медицинского университета, Грузия

S.KUPRADZE, B.KORSANTIA, I.GVELESIANI, L.KAJAYA
USING SOME PROPERTIES OF NATURAL ZEOLITES FOR THE PRODUCTION OF
INFLUENZA VACCINE

Tbilisi State Medical University, V.Bakhutashvili Institute of Medical Biotechnology, Georgia.

SUMMARY

The authors analyzed 15 years of experience with zeolites. The work shows the urgency and necessity of reducing the production time of influenza vaccine, which is possible with the use of natural zeolites. An experiment was conducted to determine the optimal parameters of zeolite volumes and the influenza virus transmitted through it, to neutralize its infectious activity.

Проблема гриппа до сих пор является актуальной, несмотря на интенсивное развитие вирусологии и профилактической медицины. Основная проблема заключается в том, что производство гриппозных вакцин отстает от темпа изменчивости самого вируса, поэтому вакцины часто становились неэффективными, о чем подробно было рассмотрено в нашем обзоре литературы [1]. Поэтому при производстве гриппозной вакцины, по нашему мнению главным фактором являются сроки изготовления. Быстрота производства позволит произвести вакцину против того штамма вируса гриппа, который заражает население в режиме реального времени и успеть провести вакцинацию именно к этому штамму, что безусловно должно повысить эффективность вакцинации.